ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

**2019 წლის 22 თებერვლის სხდომის**

# ოქმი № 2

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 19.

## დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში

   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ახალი სამაგისტრო პროგრამების დამტკიცება

   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურებისა და ხელმძღვანელთა დამტკიცება

   მომხს: ვ. მელიქიძემ
4. ნ. ოხანაშვილის დისერტაციის დაცვის კომისიისა და დაცვის თარიღის დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე
5. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცება

   მომხს: თ. მატარაძე
6. სადოქტორო პროგრამებისთვის სასწავლო კომპონენტის კრედიტების განსაზღვრა და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება

   მომხს: თ. დოლბაია
7. "ურბანიზაციის" ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის (ხელ-ლი: ი. სალუქვაძე) სტუდენტთა, "ურბანიზაციის" ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

8. დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადის განსაზღვრა

მომხს: თ. დოლბაია

9. სადოქტორო პროგრამებისთვის სავალდებულო საგნის - "კვლევის მეთოდოლოგიის" სილაბუსის შემქმნელი მუშა ჯგუფის დამტკიცება

მომხს: თ. დოლბაია

10. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

11. "მედიისა და ახალი ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია

12. მიმდინარე საკითხები:
    1) სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება
    2) საგნობრივი შეფასებების შერჩევითი შემოწმება

მოისმინეს: 1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, მ. შამილიშვილმა, ნ. ბელქანიამ, ე. ბებერაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში (ოქმს თან ახლავს) და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 2. ახალი სამაგისტრო პროგრამები განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა, ე. ბებერაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამები "მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" (ხელ-ლი: მარიამ გერსამია, პროფესორი) და "პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია:პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება" (ხელ-ლი: მარინა მუსხელიშვილი, პროფესორი) და შემდგომი მსვლელობისთვის გადაეცეს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მოისმინეს: 3. დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი წარმოადგინა დეკანის მოადგილე ვ. მელიქიძემ

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, გ. გოგსაძემ, ს. დუნდუამ, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქვემოთჩამოთვლილ დოქტორანტთა სადისერტაციო თემების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

სოციოლოგია

1. ქობალია მარიამ - "სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობა პოსტსაბჭოთა საქართველოში (სოციოლოგიური ასპექტები)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი; (V სემესტრი)

2. სხულუხია ქეთევანი - „ხელოვნების სოციოლოგიის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი, აკაკი ყულიჯანაშვილი (V სემესტრი).

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

1. ნინო კალანდია - "კრიზისული პიარი - ღია წყაროებში ინფორმაციის მართვის სტრატეგია"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე (III სემესტრი);

2. სალომე ქარელი - "ჰიბრიდული ომის თეორია და თანამედროვე კონფლიქტების ტრანსფორმაცია: იემენის კონფლიქტის მაგალითზე"; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ზურაბ აბაშიძე, ვახტანგ მაისაია (I სემესტრი);

3. ლია მეზვრიშვილი - "საარჩევნო ქცევა, როგორც პოსტსაბჭოთა სოციალური კონფლიქტების გამოხატულება"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მუსხელიშვილი (I სემესტრი);

4. ნინო კალანდაძე - „გენდერული სტერეოტიპების როლი ოჯახურ კონფლიქტებში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე (III სემესტრი).

მასობრივი კომუნიკაცია

1. ბექა ამბროლაძე - „მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ჰიბრიდული ომის პირობებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე (II სემესტრი).

მოისმინეს: 4. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნ. ოხანაშვილის (პროგრამის ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე, პროფესორი; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი, პროფესორი) დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი დასამტკიცებლად გამოიტანა თ. მატარაძემ
აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1) ნინო ოხანაშვილის სადისერტაციო ნაშრომის (სათაური: „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების განმსაზღვრელი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“ ) დაცვის თარიღად განისაზღვროს: 29 მარტი, 2019 წელი
2) ნინო ოხანაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით და გადაეცეს თსუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს:

1. გუგული მაღრაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, თსუ-ს პროფესორი guguli.magradze@tsu.ge; 599341617
2. რევაზ ჯორბენაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი revaz.jorbenadze@tsu.ge; 599906154
3. თორნიკე თურმანიძე - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ-ს პროფესორი tornike.turmanidze@tsu.ge; 577527782
4. ფიქრია ასანიშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-ს

ასოცირებული პროფესორი pichria.asanishvili@tsu.ge; 599643223

5. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი salome.dundua@tsu.ge; 5551565491

6. ბაკურ კვაშილავა - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, GIPA, სამართლისა და პოლიტიკის სკოლა, პროფესორი, b.kvashilava@gipa.ge; 599420794

7. თორნიკე შარაშენიძე, GIPA, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამართლისა და პოლიტიკის სკოლა, პროფესორი t.sharashenidze@gipa.ge;

მოისმინეს: 5. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები დასამტკიცებლად წარმოადგინა დეკანის მოადგილე თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები (ოქმს თან ერთვის) და დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს

მოისმინეს: 6. სადოქტორო პროგრამებისთვის სასწავლო კომპონენტის კრედიტების განსაზღვრის თაობაზე და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების თსუ-ის დოქტორანტურის ახალ მინიმალურ სტანდარტთან (თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018) შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ

დაადგინეს:

1) სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა განისაზღვროს 30 კრედიტით; ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისთვის – 40 კრედიტით;
2) სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტში სახელწოდება - "კოლოკვიუმი" შეიცვალოს "სამეცნიერო-კვლევითი პროექტით", რომელიც წარმოადგენს დისერტაციის დაცვლის წინაპირობას.
3) დამტკიცდეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს
4) ყველა ცვლილება დაფიქსირდეს ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებში

მოისმინეს: 7. "ურბანიზაციის" ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისთვის (ხელ-ლი: ი. სალუქვაძე) აკრედიტაციის შეჩერების გამო, ამ პროგრამის სტუდენტთა "ურბანიზაციის" ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე გადაყვანის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: გადაყვანილ იქნან "ურბანიზაციის" ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის (ხელ-ლი: ი. სალუქვაძე) სტუდენტები, "ურბანიზაციის" ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე (ხელ-ლი: ი. სალუქვაძე)

მოისმინეს: 8. დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადის განსაზღვრის საკითხი სხდომაზე დააყენა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დოქტორანტურის დამატებითი სემესტრის სწავლის გადასახადი განისაზღვროს სემესტრში 750 ლარის ოდენობით

მოისმინეს: 9. სადოქტორო პროგრამებისთვის სავალდებულო საგნის - "კვლევის მეთოდოლოგიის" სილაბუსის შემქმნელი მუშა ჯგუფის განსაზღვრის აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამებისთვის სავალდებულო საგნის - "კვლევის მეთოდოლოგიის" სილაბუსის შემქმნელი მუშა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1) თ. მატარაძე – დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
2) რ. ჯორბენაძე – ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
3) ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი
4) იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი
5) ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი
6) გიორგი გოგსაძე – პროფესორი
7) ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი
8) ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი
9) მარინა მუსხელიშვილი - პროფესორი

მოისმინეს: 10. ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ, დამსწრეთ შეახსენა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის № 1 ამოცანად გამოყოფილი პუნქტი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის შესახებ და ისაუბრა სამუშაო და საკონსულტაციო ჯგუფების შექმნის აუცილებლობაზე

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა, ზ. დავითაშვილმა, ა. კუხიანიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის სამუშაო და საკონსულტაციო ჯგუფები:

სამუშაო ჯგუფი:

1) რ. ჯორბენაძე – ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
2) ს. დუნდუა – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი
3) ლია წულაძე – ასოცირებული პროფესორი
4) გიორგი გოგსაძე – პროფესორი
5) მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი
6) კონსტანტინე შებითიძე – დოქტორანტი
7) თამარ მახარაძე – ასოცირებული პროფესორი

საკონსულტაციო ჯგუფი:

1) იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი
2) ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი
3) იოსებ სალუქვაძე – პროფესორი
4) ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი
5) მალხაზ მაცაბერიძე – პროფესორი
6) ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: 11.“მედიისა და ახალი ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელის განცხადება დამსწრეთ გააცნო ფაკულკტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: "მედიისა და ახალი ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად ხათუნა მაისაშვილის ნაცვლად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ნანა ტალახაძე, მასთან ერთად პროგრამის ხელმძღვანელად რჩება ასოცირებული პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე.

მოისმინეს: 12.სამაგისტრო ნაშრომების დაცვამდე მათი პლაგიატზე შემოწმებისა და სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასებების შემოწმების აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ე. ბებერაშვილმა, ა. გაბაშვილმა, მ. წერეთელმა, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს:

1) 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებს დაემატოს ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროცედურა
2) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნას მუშა ჯგუფი, რომელიც სასწავლო კურსების საგამოცდო შეფასებებს შეამოწმებს "კუმულაციური პროცენტის გამოთვლის" მეთოდით

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

22 აპრილი, 2019

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

**თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **რევაზ ჯორბენაძის**

## მიმართვა

ქალბატონო თამარ,
წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი N 2, 22 თებერვალი, 2019 წელი) დამტკიცებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს, ახალ სამაგისტრო პროგრამებს და სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ცვლილებებს.
კერძოდ:

# საბაკალავრო პროგრამა:

**სავალდებულო საგნები:**

1. **სილაბუსის განახლება:** „აკადემიური წერა“
   **საფუძველი:** საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციები.

**საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 34)**

1. **სილაბუსის ცვლილება:** „ქართული ენა 1“ და „ქართული ენა 2“ - ლექტორი თეა ბურჭულაძე, შეიცვალა სემინარული აქტივობის ქულათა განაწილება.
   **საფუძველი:** სასემინარო აქტივობის ქულათა დახვეწა.
2. **წინაპირობის ცვლილება :** „ ბეჭდური მედია“ წინაპირობიდან მოიხსნა „ანალიზისა და მოსაზრების წერა“.

„ტელემედიის“ წინაპირობიდან მოიხსნა „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, და „რადიომედია“, ჩანაცვლა „ახალი ამბების ჟურნალისტიკით“

„რადიომედიას“ მოეხსნა წინაპირობა და ჩანაცვლდა „ახალი ამბების ჟურნალისტიკით“

„ტელემედიის სტაჟირების კრედიტკურსი“ - დარჩა მხოლოდ „ტელემედია“, მოიხსნა „ტელემედია-პრაქტიკუმი“.

„ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ დამატებით პროგრამაზე (minor) დაშვების წინაპირობად დაემატა - „“ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“ რომელშიც სტუდენტს უნდა ქონდეს აკადემიური მოსწრება 91 ქულა და ზემოთ, ხოლო მათ მიერ გავლილი ყოველი სასწავლო კურსის აკადემიური მოსწრების მაცვენებელი 81 ქულა და ზემოთ.

**საფუძველი:** კურსების გამრავალფეროვნება.

3. **სასწავლო კურსებზე ლექტორთა დამატება** : „ბეჭდური მედია“ - ლექტორები მაია ტორაძე და ხათუნა მაისაშვილი. „რადიომედია“ - ლექტორი თეა მჟავანაძე. „ტელემედია-პრაქტილუმი“ - ლექტორი რევაზ ჭიჭინაძე. „სპეციალიზირებული ინგლისური ენა (ჟურნალისტებისათვის) 1“ და „სპეციალიზირებული ინგლისური ენა (ჟურნალისტებისათვის) 2“ - თსუ ენების ცენტრის პედაგოგი ვალერია ფურცელაძე. „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX ს)“ - ლექტორი მაგდა მემარნიშვილი.

   **საფუძველი**: ლექტორთა ოპტიმიზაცია.

**საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართული-რუსულენოვანი კომპონენტებით) (დადგენილება #57.2011, დანართი 35)**

1. **კურსის დამატება:** „ანთროპოლოგია“ - მოწვეული ლექტორი გია სიამაშვილი, (15/15). (მხოლოდ „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის ქართული-რუსულენოვანი კომპონენტების პროგრამისტვის).

   **საფუძველი:** რუსულენოვანი კურსის შემოტანა

2. **ლექტორის ცვლილება:** „როგორ მოვამზადოთ საჯარო გამოსვლა“ - წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გია სიამაშვილი, ნაცვლად ხათუნა მაისაშვილისა.

   **საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია

3. **საგნის ამოღება და ახალი საგნით ჩანაცვლება:** „იმიჯის შექმნის სტრატებია და ტაქტიკა“ - მოწვეული ლექტორი გია სიამაშვილი (30/15). ნაცვლად „სატელევიზიო მაუწყებლობის მოდელები-ისტორია და თანამედროვეობა“.
**საფუძველი:** კურიკულუმის განახლება.

**საბაკალავრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 38)**

1. **ლექტორის დამატება:** „სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა“ - ლექტორი ნელი აკობია. დაემატა ლექტორი თეონა მამუკაშვილი ნათია ფარცხალაძის ნაცვლად(სემინარი). „საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა“ - ლექტორი ნინო შატბერაშვილი. დაემატა ლექტორი ქეთევან გიგინეიშვილი (სემინარი)
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.
2. **სემესტრის ცვლილება:** „მზრუნველობას მოკლებული მოზარდების რისკები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ადიქციურ ქცევასთან მიმართებაში“ - საზაფხულოდან გადავისა საშემოდგომო სემესტრში. არცევითი, ლექტორი ა.რეხვიაშვილი.
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია
3. **სტატუსის შეცვლა:** „სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში“ - არჩევითის ნაცვლად გახდა სავალდებულო. ლექტორი ზ. ტატანაშვილი.
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია
4. **კურსის ამოღება:** „კვლევა და მტკიცებულებაზე დაფუძვნებული პრაქტიკა“.
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია
5. **საკონტაქტო საათების ცვლილება:** „სოციალური მუშაობის სამართლებრივი ასპექტები“ - ლექტორი სალომე ნამიჭეიშვილი, სავალდებულო, (15/15 ნაცვლად გახდა 30/15).
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია
6. **ახალი კურსის დამატება:** „სოციალური მუშაობა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ - არჩევითი, 5 კრედიტი, გაზაფხულის სემესტრი, ლექტორები: სალომე ნამიჭეიშვილი, თინათინ ცინცაძე(სემინარები).
**საფუძველი:** აქტუალური კურსის დამატება

7. **სილაბუსების განახლება:** „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 1“ და სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 2“ - ლექტორი თამარ მახარაძე. „ სოციალური მუშაობის შესავალი“ - მოწვეული ლექტორი გიორგი წოწკოლაური და ლექტორი ზურაბ ტატანაშვილი, შუალედური გამოცდა 30 ქულა, პრეზენტაცია და წერითი ნაშრომი 15 ქულა. მიზნები და შედეგები კურსის იდენტურია. (სილაბუსიდან ამისაღებია თ.მატარაძე, ნ.ბერძენიშვილი და დასამატებელია ნელი აკობია).

   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება

8. **სილაბუსის განახლება და ლექტორის ჩანაცვლება:** „თანამედროვე სოციალური პრობლემები 2“ - ლექტორი შორენა თურქიაშვილი ჩაანაცვლა ნათია ბერძენიშვილი, (დასწრება-აქტიურობა - 25%, დასწრება 5%, სემინარზე აქტიურობა 20%.), პრეზენტაცია 15%, შუალედური გამოცდა 20%, დასკვნითი გამოცდა 40%.

   **საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია და შეფასების კრიტერიუმების დახვეწა.

**საბაკალავრო პროგრამა „სოციოლოგია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 37)**

1. **ლექტორთა დამატება:** „რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი 2“ - დაემატა ლექტორი ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი; „რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა 2“ დაემატა პედაგოგი რატი შუბლაძე.

   **საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია.

2. **სილაბუსის განახლება:** „სოციოლოგიის შესავალი“ - სავალდებულო, 5 კრედიტი, (30 სააუდიტორიო), ლექტორი პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი.

   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება

3. **ლექტორის ცვლილება და სილაბუსის განახლება:** „მასკულინობის კვლევები“ - არჩევითი, 5 კრედიტი, (15/15), მოწვეული ლექტორი თამთა მელაშვილი. „შესავალი ფემინისტურ ნააზრევში“ - თამთა მელაშვილის ნაცვლად წაიკითხავს მაია ტაბიძე.

   **საფუძველი:** კურსის დახვეწა, გამრავალფეროვნება და ლექტორთა ოპტიმიზაცია

**საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 40)**

1. **სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება:** მოსახლეობის გეოგრაფია“, „გეოეკონომიკის საფუძვლები“, „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფია“
   **საფუძველი:** ლიტერატურის განახლება

2. **სასწავლო კურსის შეფასების ცვლილება:** „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“.
   **საფუძველი:** შეფასების კრიტერიუმების დახვეწა.

**საგანმანათლებლო პროგრამა “პოლიტიკის მეცნიერება“ (დადგენილება 57/2011, დანართი 36)**

1. **სილაბუსის განახლება:** „ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა“ - ლექტორი ასისტენტ პროფესორი ალექსანდრე წურწუმია, „საქართველოს გეოპოლიტიკა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები“ - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე წურწუმია. „გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში“ - ლექტორი მოწვეული ლექტორი ეკა დარბაიძე.
   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება
1. **სემესტრის ცვლილება:**
   „საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია“ - ლექტორი მალხაზ მაცაბერიძე,შემოდგომის სემესტრის ნაცვლად ჩატარდება გაზაფხულის სემესტრში.
   **საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.
2. **ლექტორის დამატება:**
   „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“ - დაემატა ლექტორი ირაკლი ჩხაიძე. **საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია.

**საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ (დადგენილება # დანართი )**

1. **ლექტორთა დამატება და ცვლილებები(ერთჯერადი ცვლილება):**

   „ინგლისური ენა 5“ და „ინგლისური ენა 6“ - მოწვეული ლექტორი ალექსი იასაშვილი. „ინგლისურ ენა 4“ - ლექტორი თამარ ურუშაძე. „ევროპული ინტეგრაციის ისტორია“ - მოწვეული ლექტორი თათია დოლიძე. „საბაკალავრო სემინარი“ - მოწვეული ლექტორი გიორგი ხელაშვილი.

   **საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია

# სამაგისტრო პროგრამები:

**სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დადგენილება #57/2011, დანართი 62)**

1. **სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება:** „ბრიტანეთის პოლიტიკა და პოლიტიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია“, „მიწის პოლიტიკა და მიწის ადმინისტრირება“.
   **საფუძველი:** ლიტერატურის განახლება
2. **სემესტრის ცვლილება და ლექტორის დამატება:** „ქალაქის ეკოლოგია და თანამედროვე ურბანული თეორიები“ - საშემოდგომო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება გაზაფხულის სემესტრში. „ტურიზმის მდგრადი განვითარება ტრანსდისციპლინური მიდგომით(საველე პრაქტიკა)“ - საშემოდგომო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება გაზაფხულის სემესტრში. ლექტორები ი.იაშვილი, ნ.პავლიაშვილი და იოსებ სალუქვაძე.„სამაგისტრო ნაშრომი“ - საგაზაფხულო სემესტრის ნაცვლად ჩატარდება საშემოდგომო სემესტრში.

**საფუძველი:** კურიკულუმის და ლექტორთა ოპტიმიზაცია..

**სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 59)**

1. **კურიკულუმში კურსის სახელის მოდიფიცირება:** „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“ ნაცვლად „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“.
**საფუძველი:** კურიკულუმის დახვეწა და დაზუსტება.

**სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ (დადგენილება #57/2011, დანართი 256):**

1. **სასწავლო საგნების საკონტაქტო საათების ცვლილება:** „სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები“, „სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“, ლექტორი ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე, სავალდებულო, (30/15; 30/15), ნაცვლად (15/15-ისა).
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია
2. **ლექტორის დამატება:** „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ - განახლდა ლიტერატურა და სასწავლო კურსის შინაარსი. ლექტორად დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე, არჩევითი,( 30/15).
**საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია.

**სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ (დადგენილება # 57/2011, დანართი 258, ყოფილი დანართები 234 და 49):**

1. **წინაპირობის ამოქმედება:** „ორგანიზაციის კონსულტირების სამართლებრივი საფუძვლები“ - ლექტორი გვანცა ბარამიძე, (15/30), სავალდებულო. კურსი სავალდებულოდ არ ეთვლება 2018 წლამდე ჩაბარებულ სტუდენტებს.
**საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.

**სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“ (დადგენილება # 57/2011, დანართი 45)**

1. **კურსის სახელწოდების და ლექტორის ცვლილება:** „დღის წესრიგი მედიასა და პოლიტიკაში“ - ლექტორი მარინა მუსხელიშვილი, არჩევითი, (15/15), გაზაფხულის სემესტრში. „მედიაფსიქოლოგიის თეორიები და ტექნოლოგიები“ - ლექტორი მარიამ გერსამია, (30/15), არჩევითი, გაზაფხულის სემესტრში.
   **საფუძველი:** კურიკულუმის და ლექტორის ოპტიმიზაცია.
2. **სემესტრული ცვლილება:** „სემიოტიკის საფუძვლები“ - მოწვეული პროფესორი მ. კვაჭანტირაძე, არჩევითი (30/15), შემოდგომის სემესტრის ნაცვლად გაზაფხულის სემესტრი
   **საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.
3. **საათობრივი ცვლილება და ლექტორის დამატება:** „სამაუწყებლო პროდუსირება“ - დაემატა ლექტორი რევაზ ჭიჭინაძე, (15/30).
   **საფუძველი:** კურიკულუმის და ლექტორთა ოპტიმიზაცია..
4. **სასწავლო კურსის სილაბუსის შეცვლა:** „საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია“ - მოწვეული ლექტორი სესილი გოგიბერიძე, (15/15),
   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება.

**სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ (დადგენილება # 42/2014, დანართი 219)**

1. **სასწავლო კურსის ლიტერატურის განახლება:** „მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია“ - არჩევითი, 5 კრედიტი, (30/15), ლექტორი ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი.
   **საფუძველი:** ლიტერატურის განახლება.

**სამაგისტრო პროგრამა „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“ (დადგენილება #57/2011 , დანართი 56 ).**

1. **სილაბუსის ცვლილება:** „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით' - ლექტორი დავით სიჭინავა, არჩევითი (15/15), ნაცვლად რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში", ლექტორი თამარ ჯუღელი.

   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება.

2. **ახალი კურსის დამატება და სემესტრის ცვლილება:** „ისტორიოგრაფია და ნაციონალიზმი ევრაზიაში" - მოწვეული ლექტორი სლავომირ ჰორაკი, არცევითი (30/15), გაზაფხულის სემესტრი.
   **საფუძველი: ახალი კურსის დამატება**

3. **საგნის ამოღება:** „საჯარო პოლიტიკის ანალიზი" ამოღებულია სასწავლო პროგრამიდან.
   **საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.

4. **საგნის სტატუსის ცვლილება, სემესტრის ცვლილება და წინაპირობის დამატება კურიკულუმში:** „რუსეთის საგარეო პოლიტიკა" გახდა სავალდებულო და გაზაფხულის სემესტრში წაიკითხება.
   **საფუძველი:** კურიკულუმის ოპტიმიზაცია.

**სამაგისტრო პროგრამა „კულტურისა და მედიის სოციოლოგია" (დადგენილება 113/2014 , დანართი 251)**

1. **კურსის სახელწოდების და სილაბუსის ცვლილება:** „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით' - ლექტორი დავით სიჭინავა, არჩევითი (15/15), ნაცვლად „მონაცემთა ანალიზი IBM. SPSS-ის გამოყენებით", ლექტორი ლილი ხეჩუაშვილი.
   **საფუძველი:** კურსის დახვეწა და გამრავალფეროვნება.

**სამაგისტრო პროგრამა „მედია და ახალი ტექნოლოგიები" (დადგენილება #57/2011, დანართი 46)**

1. **პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება:** ხათუნა მაისაშვილის ნაცვლად აირჩა ნანული ტალახაძე.

**საფუძველი:** პროგრამის ერთი ხელმძღვანელის განცხადება.

**საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ (დადგენილება 264# 2012.26.07, დანართი )**

1. **ლექტორთა დამატება და ცვლილებები(ერთჯერადი ცვლილება):**

   „ევროინტეგრაციის თეორიები“ - მოწვეული ლექტორი თათია დოლიძე. „საერთაშორისო მოლაპარაკებები“ - მოწვეული ლექტორი ქეთევან ჭუმბაძე. „დიპლომატია:თეორია და პრაქტიკა“ - მოწვეული ლექტორი კონსტანტინე გაბაშვილი. „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „საერთაშორისო ურთიერთობის კლასიკური თეორიები“ და „კვლევის დიზაინი“ - მოწვეული ლექტორი გიორგი ხელაშვილი.

   **საფუძველი:** ლექტორთა ოპტიმიზაცია

# ახალი სამაგისტრო პროგრამების დამტკიცება:

1. **„მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“** ხელმძღვანელი პროფესორი მარიამ გერსამია.
2. **„პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“** ხელმძღვანელი პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.

# სადოქტორო პროგრამებში ცვლილება:

1. **ცვლილება სასწავლო და კვლევით კომპონენტში:**

ყველა სადოქტორო პროგრამებში(გარდა ურბანისტიკისა) ჩასწორდა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კრედიტების განაწილება, რომელმაც შემდეგი სახე მიიღო:

**„სასწავლო და კვლევითი კომპონენტი.**

დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30-40 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტია 150-140.

**სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (30 – 40 კრედიტი)** გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:

- ✓ კვლევის მეთოდოლოგია - 5 კრედიტი
- ✓ დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები - 5-15 კრედიტი.

**სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (150 -140 კრედიტი)** :

- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი I
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი II
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 150-140 კრედიტი

სამეცნიერო კვლევითი პროექტი I და II წარმოადგენს დაცვის წინაპირობას.

**საფუძველი:** დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინება“.

სსიპ- ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის სოციალურდაპოლიტიკურმეცნიერებათაფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

**მუხლი1. ზოგადიდებულებები**

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ტექსტში შემდგომ „ფაკულტეტი“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ „თსუ“) წესდების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიისა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

**მუხლი2. დოქტორანტურა**

1. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისთვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

3. დოქტორანტურამოიცავსსასწავლოდაკვლევითკომპონენტებს.

4. დოქტორანტიარისპირი, რომელიცსწავლობსდოქტორანტურაში.

5. დოქტორის ხარისხი არის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორანტურისთვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.

6. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად.

7. ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში, ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

**მუხლი 3. სადოქტორო პროგრამა**

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან, პარტნიორ უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად, უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადოხელშეკრულებისსაფუძველზე.

2. სადოქტორო პროგრამის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა დასამტკიცებლადწარედგინებათსუაკადემიურსაბჭოს.

3. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისპროფესორიანასოცირებულიპროფესორი.

4.სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ–ის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

5. სადოქტოროპროგრამისხელმძღვანელიკოორდინირებასუწევს პროგრამისგანხორციელებაში ჩართულპირებს, დოქტორანტის სამეცნიეროხელმძღვანელს.

6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტების კონსულტირება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურადდაგეგმვისმიზნით, ამკომპონენტებისგანხორციელებისმონიტორინგიდასხვ.

7. ერთიდაიგივეპირიშეიძლებაიყოსმხოლოდერთისადოქტოროპროგრამისხელმძღვანელი.

8. სადოქტორო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განისაზღვრება თსუ–ის სხვა სამართლებრივი აქტებით და სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტოდაფინანსების, ქველმოქმედებისადათვითდაფინანსებისფორმით.

**მუხლი4. დოქტორანტურაშისწავლისუფლება**

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონეპირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილიწესით.

**მუხლი5. დოქტორანტურაშიჩარიცხვისწესი**

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების მიღების ვადები განისაზღვრებათსუ–ისრექტორისბრძანებით.

3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგულიენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

4. დოქტორანტობის კანდიდატი, რომლისთვისაც ქართული ენა არაა მშობლიური და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელისერტიფიკატიანჩააბაროსგამოცდაქართულენაში.

5. დოქტორანტობისკანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:

a) წარმოადგენსსადოქტორო კვლევითი პროექტის – პროსპექტუსის გეგმას(დანართიN1);
b) გადის გასაუბრებას ან/და აბარებს გამოცდას (წერითი ან ზეპირი) დეკანის ბრძანებით შექმნილ შესაბამის დარგობრივ მიმღებ კომისიასთან;

გ) აბარებს უცხო ენის გამოცდას/ ან ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე

6. დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების ან/და სპეციალობაში გამოცდის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი.

7. დოქტორანტურაში მიღების ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის ჩარიცხვის შესაბამის სამართლებრივაქტს.

8. დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით, რომელიცგანსაზღვრავსყველამხარისვალდებულებებსადაუფლებებს.

**მუხლი6. დოქტორანტისსამეცნიეროხელმძღვანელი**

1.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.

6. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

**მუხლი7. დოქტორანტურაშისწავლის პირობები**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი.

2. დოქტორანტმა სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 ECTS კრედიტი.

180 ECTS კრედიტი მოიცავს სასწავლო (30 - 40 ECTS კრედიტი) და კვლევით (140 - 150 ECTS კრედიტი) კომპონენტებს.

3.დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში.

4. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

5. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სტუდენტს ეძლევა 4 დამატებითი სემესტრის გავლის საშუალება.

6. სადოქტორო თემის სათაურის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის ვადაში.

7. სადოქტორო თემის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში

8. სადოქტორო თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის პირველი ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

**მუხლი8.დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითიკომპონენტები**

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომისშესრულებაში, ამზადებსმასმომავალიპედაგოგიურიდასამეცნიეროსაქმიანობისათვის.

2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს

3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა:

ა) კვლევის მეთოდოლოგია(5კრედიტი);

ბ) ერთისემინარი(15 კრედიტი);

გ) პროფესორისასისტენტობა(5 კრედიტი);

4. სასწავლო კომპონენტის 5 - 15 კრედიტი არჩევითია და განსაზღვრულია კონკრეტული სადოქტორო პროგრამისთავისებურებებისგათვალისწინებით.

5. სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციისა და ორი სამეცნიერო პროექტის სახით (140 - 150 კრედიტი);

6.შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

7. სემინარებისა და სამეცნიერო პროექტების დაცვის განრიგი მტკიცდება დეკანის ბრძანებით და ტარდება დასკვნითიგამოცდებისპერიოდში.

**მუხლი 9.დისერტაცია**

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას (დანართი №5).

3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

6. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობაა 35-45 გვერდი.

7. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას შეიმუშავებს ფაკულტეტი, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო (იხ. დანართი).

**მუხლი10. დოქტორანტისმიერსადისერტაციონაშრომის წარდგენის პროცედურა**

1. დოქტორანტი ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას (CD), მათ შორის ქართულად 3 და უცხო ენაზე 1 მაგარ ყდაში აკინძულ ეგზემპლარად.
2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გამონაკლისის გარდა), ხოლო მისი შემოკლებული ვარიანტი ინგლისურ ენაზე;

3. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (დანართი №6);

ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (დანართი №7);

გ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ინგლისურ (35-45 გვერდი) ენაზე; ასევე სადისერტაციო კვლევის შედეგები (2-3 გვერდი) ქართულ და ინგლისურ ენებზე;

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (დანართი №8);

ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

თ) სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სადაც ასახული იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებებიდაშედეგები(ასეთისარსებობისშემთხვევაში);

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია ორი პუბლიკაცია სადისერტაციო თემის ფარგლებში. მათ შორის: ერთი პუბლიკაცია - სამეცნიერო ჟურნალში, ან კონფერენციის მასალებში (proceedings) სამეცნიერო სტატიისსახით, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science - ის ბაზებში; მეორე პუბლიკაცია – რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი.

5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტი.

6. სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ ფაკულტეტის საბჭო ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.

7. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, თსუ–ს სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სავარაუდო შემადგენლობას;

8. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან, თუ ნაშრომს წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში; ხოლო სემესტრის განმავლობაში ნაშრომის წარმოდგენისას- მომდევნოსემესტრიდან.

**მუხლი12. სადისერტაციონაშრომისრეცენზენტები**

1. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოყოფილ სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს/რეცენზენტებს დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.

2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენტენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ სფეროში აქვს პუბლიკაციები.

3. სადისერტაციონაშრომსაფასებსსამიშემფასებელი, მათგანერთი– უცხოელი.

4. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის /რეცენზ ირებისთვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება შეფასებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით.

5. შემფასებელთა მიერ დადგენილი ფორმით წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას. უცხოელი შემფასებლის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული. რეცენზია უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას/დასკვნას ნაშრომის დაცვაზე

დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკანდაბრუნების, ანდადაცვაზეუარისთქმისშესახებ (დაწართი #9).
6. თუ ორი რეცენზენტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი დაცვაზე დაშვებული არ იქნება.
7. თუ სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ იქნა დაშვებული, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება მიეცეს დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება მაქსიმუმ 12 თვის ვადით. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება დასაცავად.
8. დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და რეცენზენტების წერილობითიდასკვნებიინახებაფაკულტეტისარქივში.

**მუხლი13.სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია**

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისგან ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც თსუ–ში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ შვიდი წევრისგან.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
5. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისწევრები.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს,შემფასებელთამიერწარმოდგენილდასკვნებსდა შემოსულგამოხმაურებებს.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობისნახევარზე მეტი.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ჩატარებას;
ბ) მოქმედი კანონმდებლობითა და წინმამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით აფასებს სადისერტაციო ნაშრომს

**მუხლი 14. დისერტაციის დაცვა**

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზედისერტაციის დაცვამდე მინიმუმერთიკვირითადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
4. დისერტაციისდაცვა შედგებაშემდეგიპროცედურებისაგან:
ა) დოქტორანტისპრეზენტაცია(20-30 წუთი);
ბ) რეცენზიებისსაჯაროდწაკითხვა;

გ) დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შენიშვნებზე და დასმულ შეკითხვებზე სწჯარო პასუხისგაცემა/სამეცნიეროდისკუსია;

დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმება კომისიისყველაწევრისხელმოწერით;

ე) სადისერტაციონაშრომისშეფასებისგამოცხადება.

5. დისერტაციის დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი და ხელს აწერენ კომისიისწევრები.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება და დაცვის დოკუმენტაცია(წერილობითი სახით დისერტანტის პრეზენტაციისა და რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხების ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო დასკვნა, გამოყენებული ბიულეტენები), აგრეთვე დისერტაციის მსვლელობის აუდიო ჩანაწერი. სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად გადაეცემა შეფასებიდან 10 დღის ვადაში.

8. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

**მუხლი14.დისერტაციისშეფასება**

1. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავინაშრომი– შეფასების91-100 ქულა;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების81– 90 %;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71–80%; დ) "bene" - "საშუალო" –საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების61–70%;

ე)"rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებსმაინცაკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 %;

ვ) "insufficienter" - "არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელიდონისნაშრომი, რომელიც ვერაკმაყოფილებსწაყენებულმოთხოვნებსმასშიარსებულიმნიშვნელოვანიხარვეზების გამო; შეფასების41–50 %;

ზ)"sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი"– შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებსსრულიადვერაკმაყოფილებს, შეფასების40 % დანაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტსენიჭებადოქტორისაკადემიურიხარისხი. 

4. ამმუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითგათვალისწინებულიშეფასებისმიღებისშემთხვევაშიდოქტორანტს უფლება ეძლევაერთიწლისგანმავლობაშიწარადგინოს გადამუშავებულისადისერტაციონაშრომი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივესადისერტაციონაშრომისწარდგენისუფლებას.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას/შეფასებას აცნობს ზეპირად.

**მუხლი 16. ხარისხის მინიჭება**

1. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (PHD) ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შეასბამისად.
3. სადისერტაციო საბჭოს მიღებიდან ერთი თვის ვადაში ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას) და ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს.
4. სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტმა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია (როგორც წესი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის სახით)
5. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის წევრი), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ღია.
6. სადისერტაცო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ვალდებულია თავის წერილობით დასაბუთება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დაუმტკიცებლობის თაობაზე, წარმოადგენს მომდევნო სხდომაზე.
7. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმი სადისერტაციო სხდომის მასალებთან ერთად, ასევე სადისერტაციო ნაშრომის 1 ეგზემპლარი ინახება სადისერტაციო საბჭოში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

**მუხლი17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი**

1. დოქტორის აკადემიური ხარისხს/ კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.
2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს შეიძლება მიეცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მუხლი 18. დისერტაციის გამოქვეყნება**

დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ერთი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტობიბლიოთეკისვებგვერდზე.

**მუხლი19. დოქტორანტის მიერ სადოქტოროპროგრამის შეცვლისპროცედურები**

1. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.
2. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტისდეკანისწარდგინებისსაფუძველზე.

**მუხლი20. ერთობლივი სადოქტოროპროგრამები**

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს სადოქტორო პროგრამათსუ-სადასხვაუნივერსიტეტ(ებ)სშორისთანამშრომლობით.
2. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივიაკადემიურიხარისხისმინიჭება.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებით.

**მუხლი21. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. წინამდებარედებულებისმიღება, გაუქმება, მასშიცვლილებებისადადამატებებისშეტანახდება ამ მუხლის პირველიპუნქტით დადგენილიწესით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, დეკანს, პროფ. თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელის, ნინო ჭალაგანიძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თამარ, მოგახსენებთ, ამა წლის 11 თებერვალს შემოსული პროფ. ხათუნა მაისაშვილის წერილის პასუხად, რომელშიც ის გვატყობინებდა, რომ ამიერიდან ვეღარ უხელმძღვანელებს „მედიისა და ახალი ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამას, ჩავატარეთ მიმართულების სხდომა. სხდომის მსვლელობისას, რომელსაც თოთხმეტიდან ათი პროფესორი ესწრებოდა, ასოცირებულმა პროფესორმა მაია ტორაძემ ახალ ხელმძღვანელად კენჭისყრაზე დააყენა ნანული ტალახაძის კანდიდატურა. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკის დოქტორი, ჩვენი აფილირებული ასოცირებლი პროფესორი ქალბატონი ნანული, წლების მანძილზე, ახალციხის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის მიმართულებას ხელმძღვანელობდა და პროგრამებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

ქალბატონი ნანულის კანდიდატურა სხდომის ყველა წევრისთვის მისაღები აღმოჩნდა და ის ერთხმად იქნა არჩეული.

გთხოვთ, ფაკულტეტის საბჭოზე კიდევ ერთხელ განიხილოთ და დაამტკიცოთ ქალბატონი ნანული ტალახაძის კანდიდატურა მედიისა და ახალი ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად. მასთან ერთად, პროგრამას, კვლავლინდებურად უხელმძღვანელებს ასოც. პროფ. რევაზ ჭიჭინაძე.

განცხადებას, დანართის სახით, ახლავს მიმართულების სხდომის ოქმის ასლი.

პატივისცემით,

ნინო ჭალაგანიძე

21.02.2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
შემოსულია № 2999/30 3 გვ.
„21" 02 2019 წ.
ხელმოწერა: ე. ჩა

მაისაშვილმა საკუთარი სურვილით დატოვა აღნიშნული თანამდებობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა პროგრამის ახალი ხელმძღვანელის არჩევის საკითხი.

მოისმინეს:

ასოცირებული პროფესორის მაია ტორაძის წინადადება სამაგისტრო პროგრამის - მედია და ახალი ტექნოლოგიები - ხელმძღვანელის თანამდებობაზე ასოცირებული პროფესორის ნანა ტალახაძის კანდიტატურის წარდგენის შესახებ.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინო ჭალაგანიძის ინფორმაცია ასოცირებული პროფესორის ნანა ტალახაძის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს:

სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამის -მედია და ახალი ტექნოლოგიების -ხელმძღვანელად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ნანა ტალახაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ნინო ჭალაგანიძე

სხდომის მდივანი: ხათუნა კაჭარავა


ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული № ______ გვ.
" " ______ 2 წ.

2. ნიკა [illegible] —
3. ნანა [illegible] —
4. [illegible] [illegible] —
5. მაია [illegible] —
6. [illegible] [illegible] —
7. ხათუნა [illegible]
8. თამარ [illegible]
9. ნინო [illegible]
10. [illegible] [illegible]